პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 2 დეკემბერი, 1950 წ. № 270 (8830). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

შემოქმედებითი, ცოცხალი ხელმძღვანელობისათვის! — „პრავდის“ 30/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

იქ, სადაც კენჭს იყრის დიდი სტალინი (1-ლი გვერდი).

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი რეგისტრირებულია გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (1-ლი გვერდი).

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები (მე-2 გვერდი).

ვიბრძოლოთ ტექნიკური პროგრესისათვის, გავადიდოთ პირველხარისხოვანი მარგანეცის დამზადება (მე-2 გვერდი).

30 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე (მე-3 გვერდი).

ბ. თათარიშვილი—სპექტაკლი საკოლმეურნეო თემაზე (მე-3 გვერდი).

უშიშროების საბჭოს 20 ნოემბრის სხდომა (მე-3 გვერდი).

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის ამერიკის დელეგაციის წევრთა ჯგუფის წერილი სსრ კავშირში ამერიკის ელჩის ა. კერკისადმი (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

ბულგარეთის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი (მე-4 გვერდი).

შემოქმედებითი, ცოცხალი ხელმძღვანელობისათვის!

წარმატებით შეასრულა რა ომისშემდგომი ხუთწლედის ძირითადი ამოცანები, საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, იბრძვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ახალი, კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობისათვის. ქვეყანაში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, პროდუქციის გამოშვების გაძლიერებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. კოლმეურნეობათა გამსხვილება სოფლის მეურნეობის განვითარების კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებს ქმნის.

თანამედროვე პირობებში, როდესაც პარტიული ორგანიზაციები კომუნისტური მშენებლობის დიდ და რთულ ამოცანებს წყვეტენ, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს თავის დადგენილებებში არაერთხელ მიუთითებია პარტიული ორგანოებისათვის, რომ საჭიროა მუდამ განამტკიცებდნენ თავიანთ კავშირს პარტიულ ორგანიზაციებთან და საჭირო დახმარებას უწევდნენ მათ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოწესრიგებაში.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის იმას, რომ ყოველდღიური პარტიული მუშაობის წარმოებისას არ ვიყინებოდეთ ერთ ადგილზე, არ ვცხოვრობდეთ მხოლოდ ძველი ფორმულებით, არამედ ვსწავლობდეთ ყოველდღიურ გამოცდილებას, გაბედულად ვასწორებდეთ შეცდომებს, რათა ახალი ცხოვრების მშენებლობის ხელმძღვანელობა ხორციელდებოდეს შემოქმედებითად.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საუკეთესო შედეგებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ის პარტიული კომიტეტები აღწევენ, რომლებსაც მუდამ თავიანთი ყურადღების ცენტრში აქვთ პარტიულ-პოლიტიკური საკითხები, რომლებიც მტკიცედ აუმჯობესებენ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ყველა დარგის ხელმძღვანელობის ხარისხს.

პარტიული ხელმძღვანელობა შემოქმედებითი, ცოცხალი ხელმძღვანელობაა. იგი არ ითმენს შტამპს, უფერულობას, საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას. ბოლშევიკურად უხელმძღვანელო — ნიშნავს მტკიცედ გახორციელო კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, დარაზმო მასები რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის. შემოქმედებითი ხელმძღვანელობა ნიშნავს ცხოვრებით, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკით წამოყენებული ყოველი საკითხის სწორი გადაწყვეტის გამონახვას. ამისათვის საჭიროა, რომ ყოველი პარტიული მუშაკი ყოველდღიურად ხელმძღვანელობდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიით, რომელიც ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადესა და ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი რწმენას აძლევს პრაქტიკას.

ყველაზე ეფექტიანი და ქმედითი შეიძლება იყოს ისეთი ხელმძღვანელობა, რომელიც ემყარება პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ღრმად შესწავლას, კომუნისტებთან და მშრომელთა ფართო მასებთან პარტიული ხელმძღვანელების უშუალო ურთიერთობას.

პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამება. პრაქტიკულად ამ მოთხოვნას ყოველთვის არ იცავენ. ზოგიერთმა პარტიულმა კომიტეტმა დაივიწყა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები, აღარ ზრუნავს კადრების აღზრდისათვის, პარტიულ ორგანიზაციებთან და კომუნისტებთან თავისი კავშირის განმტკიცებისათვის. ისინი ცდილობენ სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები გადაწყვიტონ კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდებით. ცხადია, რომ ასეთ მეთოდებს ბოლშევიკურ ხელმძღვანელობასთან საერთო არა აქვთ რა.

„ხელმძღვანელობის გაწევა, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სწერო რეზოლუციები და გზავნო დირექტივები. ხელმძღვანელობის გაწევა იმას ნიშნავს, რომ შეამოწმო დირექტივების შესრულება...“

ბევრი საოლქო და საქალაქო კომიტეტის პლენუმები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს, იხილავენ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს. პლენუმებზე მწვავედ აკრიტიკებენ პარტიული ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებს. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ზოგიერთი პარტიული მუშაკი იშვიათად დაიარება ადგილებზე, ღრმად არ სწვდება პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას და არ უწევს მათ საჭირო პრაქტიკულ დახმარებას.

მაგალითად, საკავშირო კ. პ. (ბ) ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პლენუმზე აღნიშნავდნენ, რომ საოლქო კომიტეტის მუშაკები რაიონებში ყოფნისას მხოლოდ ცალკეულ უარყოფით ფაქტებს აღნუსხავენ და არ აინტერესებთ საქმის საერთო მდგომარეობა პარტიულ ორგანიზაციებში, არ ამოწმებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ხელს არ უწყობენ ნაკლოვანებების ადგილზე აღმოფხვრას.

გამოდიოდნენ რა საოლქო კომიტეტის პლენუმზე, პარტიის რაიკომების მდივნები სამართლიანად მოითხოვდნენ, რომ საოლქო კომიტეტის მდივნები და სხვა მუშაკები სისტემატურად დადიოდნენ რაიონებში და იქ ჩასვლისას დეტალურად ეცნობოდნენ პარტიული მუშაობის დაყენებას, ამჟღავნებდნენ ნაკლოვანებებს და ასწავლიდნენ ძირეულ პარტიულ კადრებს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, პარტიული ხელმძღვანელობის სწორად მოწყობას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე კარგი გადაწყვეტილებაც კი შეიძლება ჰაერში გამოკიდებული დარჩეს, თუ არ დაწესდა ამ გადაწყვეტილების შესრულების ყოველდღიური შემოწმება, თუ არ ჩატარდა დიდი ორგანიზატორული მუშაობა. საკავშირო კ. პ. (ბ) ყაბარდოს საოლქო კომიტეტის პლენუმზე აღნიშნავდნენ, რომ საოლქო კომიტეტის ბიუროს არაერთხელ მიუღია კარგი გადაწყვეტილება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე, მაგრამ თითქმის არაფერი გაუკეთებია მათი განხორციელებისათვის.

პარტიული მუშაკი პოლიტიკური ხელმძღვანელია. პარტიული ხელმძღვანელობის ძალა მასებთან განუყრელ კავშირშია. პარტიული მუშაკის უპირველესი მოვალეობაა დაუღალავად განამტკიცოს კავშირი მასებთან, იყოს მასებში, გულისხმიერად უგდოს ყური ქვემოდან მომდინარე კრიტიკას, ყოველმხრივ უჭერდეს მხარს ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. მაგრამ ვხვდებით ისეთ პარტიულ მუშაკებსაც, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი კანცელარიული მეთოდებისათვის და ხშირად მსჯელობენ მხოლოდ იმის მიხედვით, რისთვისაც ყური მოუკრავთ ადგილობრივ საქმის მდგომარეობის შესახებ.

მაგალითად, მუშაობის ასეთი არასწორი სტილი შეითვისა საკავშირო კ. პ. (ბ) უფის საქალაქო კომიტეტმა. ამ საქალაქო კომიტეტის მუშაკთა დროის ნახევარზე მეტი სხვადასხვა სხდომებსა და თათბირებს უნდება. სხდომათაგან თავისუფალ საათებში ისინი ადგენენ ყოველგვარ ჯამლებსა და ცნობებს. პარტიულ ორგანიზაციებთან საქალაქო კომიტეტს კავშირი აქვს უმთავრესად ტელეფონის საშუალებით.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. მუსტაფინს სრულიად დაავიწყდა გზა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაკენ. ზოგიერთ მსხვილ საწარმოში იგი თავისი მუშაობის მთელს მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა. ამას წინათ პარტიული აქტივის საქალაქო კრებაზე ამხ. მუსტაფინმა ჩამორჩენილთა შორის დაასახელა ბამბეულის კომბინატი, რომელმაც ხანგრძლივად გადაჭარბებით შეასრულა ათი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით და ქალაქში ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა.

შემოქმედებითი, ცოცხალი ხელმძღვანელობა იმის აუცილებელი პირობაა, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა აყვანილ იქნას გაზრდილი ამოცანების დონეზე. პარტიული ორგანოები ვალდებული არიან ყოველმხრივ განავითარონ კომუნისტებისა და მშრომელთა ფართო მასების აქტივობა, აღზარდონ კადრები ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით, — ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით. წარმატება ყოველი პარტიული კომიტეტის მუშაობაში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული პარტიულ აქტივთან, რამდენად ფართოდ ჩაბმულია პარტიული აქტივი პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების განხილვაში.

ბოლშევიკურმა პარტიამ გამოზარდა პოლიტიკურად მომწიფებულ პარტიულ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებსაც ხელმძღვანელობის მდიდარი გამოცდილება აქვთ, უნარი შესწევთ განახორციელონ პარტიის დირექტივები. მაგრამ მარტოოდენ ხელმძღვანელთა გამოცდილება, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, არ კმარა. ხელმძღვანელთა მხედველობის არე რამდენადმე შეზღუდულია, რადგან ისინი მოვლენებს ხედავენ ერთი მხრიდან, ზემოდან. მასები კი, პირიქით, საგნებს ხედავენ ქვემოდან. მათი მხედველობის არეც რამდენადმე შეზღუდულია. **„საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **უნდა გავაერთიანოთ ეს ორი გამოცდილება, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ხელმძღვანელობა სწორი“.**

ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებებთან ბრძოლის საიმედო და ნაცად საშუალებას წარმოადგენს ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკა და თვითკრიტიკა ხელს გვიწყობს გადაჭრით აღმოვფხვრათ ძველი, დრომოჭმული და გზა გავუკაფოთ ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. პარტიული ხელმძღვანელი უნდა იძლეოდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედულად გაშლის მაგალითს, ფხიზლად უგდებდეს ყურს მასების ხმას, სწრაფად უწევდეს ანგარიშს კრიტიკულ შენიშვნებს, აუმჯობესებდეს მუშაობას. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება კიდევ უფრო განვავითაროთ პარტიული მასების თვითმოქმედება, ყველა კომუნისტი ჩავაბათ პარტიული ორგანიზაციის აქტიურ ცხოვრებაში.

საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პათოსით. ამ დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ემზადება, კიდევ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის. მილიონობით ბოლშევიკი აგიტატორი დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა მასებში. ლენინ-სტალინის პარტია სათავეში უდგას მასების პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას და საბჭოთა ადამიანების მთელ ღონისძიებებს მიმართავს კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისაკენ.

„პრავდის“ 30/XI მოწინავე

იქ, სადაც კენჭს იყრის დიდი სტალინი

ამომრჩეველთა სიხარული

ბათუმი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში და მუშათა საცხოვრებელ უბანში დიდი აღფრთოვანებაა: მშრომელთა გენიალური ბელადი, მშვიდობის მედროშე ამხანაგი ი. ბ. სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 200 საარჩევნო ოლქში.

დიდი ბელადის თანხმობამ და ნდობამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. 25 ნოემბრიდან ქარხნის კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა. სტახანოვურ ვახტზე დგანან ყველა პროფესიის მუშები, ოპერატორები, ხარატები, მექვაბეები, ზეინკლები, მემონტაჟეები და სხვები. 26 ნოემბერს ქარხნის მოწინავე მუშებმა პ. შავლისმა, ა. კალაშნიკოვმა, შ. შათირიშვილმა და სხვებმა დღიური ნორმა 150-200 პროცენტით გაანაღდეს. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ ოპერატორი ს. ჩანტლაძე, ა. შჩერბინი და სხვები.

საზეიმო ელფერი მიიღო ამ დღეებში ქარხნის მუშათა საცხოვრებელმა უბანმა. ყველგან მოჩანს წითელ არშიებზე აღბეჭდილი სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს—დეპუტატობის პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს!“

ყველა ამომრჩეველს ერთი გადაწყვეტილება აქვს: იყოს თავისი კანდიდატის ღირსი, ენერგიის დაუზოგავად იშრომოს, რათა გაამართლოს საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დიდი ნდობა.

და მართლაც, მენავთეები ძალღონეს არ იშურებენ, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს. ქარხნის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს. განსაკუთრებით გადიდდა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. მენავთეები ბეჯითად იბრძვიან სათბობის მომჭირნეობისათვის. წელს დაზოგილია ათასობით ტონა სათბობი, თითქმის 5 პროცენტით არის შემცირებული პროდუქციის თვითღირებულება. ქარხნის 400-ზე მეტმა მუშამ უკვე შეასრულა თავისი პირადი ხუთწლიანი გეგმა.

ქარხანაში განუხრელად იზრდება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგები, რომელთა რაოდენობამ დღეისათვის 145 კაცს მიაღწია. მათ შორის 80-ზე მეტი მუშაა. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მარტო წელს ქარხანაში მიღებულია 2 მილიონ 900 ათასი მანეთი ეკონომია.

ქარხნის მუშათა საცხოვრებელი უბანი პატარა ქალაქს ჰგავს. მენავთეებს აქვთ მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, 3 ბიბლიოთეკა, რვაწლიანი და მოზრდილთა საშუალო სკოლები, პოლიკლინიკა და საავადმყოფო, საბავშვო ბაგა, საბავშვო ბაღი, მალე კულტურის სასახლეც ექნებათ.

ასეთი სახე აქვს დღეს იმ საარჩევნო ოლქის ტერიტორიას, სადაც კენჭს იყრის მშრომელთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი. მენავთეები მტკიცედ იბრძვიან, რათა საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე — 17 დეკემბერი წლიური დავალების შესრულებით აღნიშნონ.

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

რეგისტრირებულია გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

გორი. (საკ. კორ.). დიდი კმაყოფილებით შეიტყეს გორის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 10 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ცნობა, რომ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი დათანხმდა გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ამ ოლქში.

გორის საკონსერვო ქარხნის მუშათა კლუბში გაიმართა გორის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 10 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელიც გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. ხითაროვმა.

— ამხანაგებო, — განაცხადა ამხ. ხითაროვმა, — მიღებულია სასიხარულო ცნობა, რომ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი დათანხმდა კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

სხდომის მონაწილენი დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ცნობას.

გორის საკონსერვო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა სახელით სიტყვას ამბობს ქარხნის დირექტორი ამხ. პ. საყვარელიძე.

— გორელმა მეკონსერვეებმა, — ამბობს იგი, — დიდი სიხარულით წამოაყენეს გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. მეკონსერვეებმა სიხარულით შეიტყეს, რომ ამხანაგი ჩარკვიანი დათანხმდა გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 10 საარჩევნო ოლქში. ეს დიდი ნდობაა ჩვენთვის. ამხანაგ ჩარკვიანის ხელმძღვანელობითა და დახმარებით უკანასკნელ წლებში სახე იცვალა ბელადის სამშობლო ქალაქმა გორმა. ჩვენს ქალაქში ფართოდ არის გაშლილი სამშენებლო სამუშაოები, შენდება ბამბეულის კომბინატი, მაცივარკომბინატი, პურის საცხობი ქარხანა და სხვ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის კეთილმოწყობა, მისი რეკონსტრუქცია. ამხანაგ ჩარკვიანის თანხმობა აღაფრთოვანებს, ახალ ძალასა და ენერგიას მატებს ქალაქის მშენებლებს. ისინი ისწრაფვიან იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ გორის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა.

ამხ. საყვარელიძე თხოვნით მიმართავს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

გორის რკინიგზის სადგურის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. დვალმა განაცხადა, რომ გორელი რკინიგზელები დიდ სიხარულს განიცდიან ამხანაგ ჩარკვიანის თანხმობის გამო.

— ამის საპასუხოდ, — ამბობს ამხ. დვალი, — რკინიგზის სადგურის კოლექტივი უფრო მეტი ენერგიით იმუშავებს, გადამეტებით შეასრულებს ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმებს, იმუშავებს უწუნოდ, უავაროდ და გმირული შრომით ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების საქმეს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. 17 დეკემბერს ჩვენი ოლქის ამომრჩევლები სიხარულით მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცემენ ხმას საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ ჩარკვიანს.

ამხ. დვალმა თხოვნით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგ ჩარკვიანის კანდიდატურა.

კომისიის თავმჯდომარე ამხ. ხითაროვი აცხადებს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები მთლიანად შეესაბამება არჩევნების დებულების მოთხოვნებს. საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება: ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი რეგისტრირებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და შეტანილ იქნას მისი კანდიდატურა საარჩევნო ბიულეტენში საქალაქო საბჭოს არჩევნების № 10 საარჩევნო ოლქში კენჭისყრისათვის.

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრთა საერთო კრება

27-30 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრთა საერთო კრება, მიძღვნილი აკადემიის ინსტიტუტების 1950 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისადმი.

ინსტიტუტთა ხელმძღვანელებმა კრებას უამბეს მიჩურინული მეცნიერების წარმატებებზე, ახალ საინტერესო ნაშრომებზე აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის, ელექტროფიკაციის, მექანიზაციის, ჰიდროტექნიკისა და აგროფიზიკის და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სხვა დარგებში.

საბოლოო სხდომაზე აგრობიოლოგიური მეცნიერების ამოცანების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ. მან აღნიშნა, თუ რა შესანიშნავი ნაყოფი მოგვცა მიჩურინული მეცნიერების თანამეგობრობამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკოსებთან.

აკადემიკოსი ლისენკო დაწვრილებით შეჩერდა აკადემიის მომავალი წლისათვის განსახორციელებლად დასახულ უმნიშვნელოვანეს სამუშაოებზე. მათ რიცხვს მიეკუთვნება მუხის ბუდობრივი თესვის შემდგომი სამუშაოები, ნათესი ბალახების უხვმოსავლიანი სავარგულების შექმნა, საგაზაფხულო დატოტვილი ხორბლის მოყვანის ტექნიკის დამუშავება და მისი საშემოდგომო ფორმის გამოყვანა, საშემოდგომო ხორბლის ნათესთა განვითარება ციმბირში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალ მაღალპროდუქტიულ სახეობათა შექმნა.

ამხ. ლისენკომ დიდი ყურადღება მიაქცია მეცნიერების ამოცანებს ვოლგისპირეთსა და თურქმენეთში, უკრაინასა და ყირიმში სარწყავი მიწათმოქმედების ახალი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით. (საკდესი).

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა შეასრულა ხუთწლიანი გეგმა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელმა მაღაროელებმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს. მარგანეცის ტრესტმა 27 ნოემბერს შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ხუთწლიანი გეგმა. განსაკუთრებული მაღალნაყოფიერებით მუშაობენ ორჯონიკიძისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროები.

ქუთაისის მრეწველობამ შეასრულა ხუთწლიანი გეგმა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მრეწველობამ ვადაზე ადრე თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 50 მილიონამდე მანეთის პროდუქცია.

დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მანქანათმშენებელმა ქარხანამ, მაუდის ფაბრიკამ, საკონსერვო ქარხანამ, სამრეწველო კომბინატმა და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

სომეხი ხალხის დღესასწაული

ერევანი, 29 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა სომხეთის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს თავიანთი რესპუბლიკის 30-ე წლისთავი. დღეს ოპერის თეატრში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების ერევნის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა.

სხდომის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება საბჭოთა სომხეთის 30-ე წლისთავის შესახებ გააკეთა სომხეთის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. კ. კარაპეტიანმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ნ. ს. ხრუშჩოვის ბროშურა „კოლმეურნეობებისა და მტს-ების მორიგი ამოცანების შესახებ წვრილი სასოფლო-სამეურნეო არტელების გამსხვილებასთან დაკავშირებით“

კიევი, 30 ნოემბერი. (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ უკრაინულ ენაზე გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის ბროშურა „კოლმეურნეობებისა და მტს-ების მორიგი ამოცანების შესახებ წვრილი სასოფლო-სამეურნეო არტელების გამსხვილებასთან დაკავშირებით“.

ბროშურის ტირაჟია 30 ათასი ეგზემპლარი.

მოსკოვში დაიწყო აზერბაიჯანული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

30 ნოემბერს მოსკოვში დაიწყო აზერბაიჯანული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბა ორი ათასამდე მოსკოველი—მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, სტახანოველები, საბჭოთა არმიის მეომრები, სტუდენტები.

საღამო გახსნა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილემ ნ. ს. ტიხონოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აზერბაიჯანული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა დიდი სასიხარულო მოვლენაა არა მარტო აზერბაიჯანელი მშრომელების, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაშიც.

— აზერბაიჯანული ლიტერატურა აღმავლობის გზაზეა,—თქვა ამხ. ტიხონოვმა,—იგი ერთგულად ემსახურება მშრომელთა საქმეს, საბჭოთა ხალხს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს, ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს, და ადიდებს მშვიდობის დიდ მედროშეს—ჩვენს საყვარელ ამხანაგ სტალინს.

ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში იმართება მქუხარე ოვაცია ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. რამდენიმე წუთის განმავლობაში ქუხს ტაში. საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის სსრ საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ მ. იბრაჰიმოვმა.

— დეკადის მონაწილენი დიდი მღელვარებით ემზადებოდნენ მოსკოვს წამოსასვლელად,—თქვა მან.—ჩვენ წილად გვხვდა დიდი პატივი არა მარტო გიჩვენოთ აქ აზერბაიჯანელი ხალხის მიღწევები მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ამ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, არამედ კიდევაც ვისწავლოთ, მოვისმინოთ კრიტიკული შენიშვნები და დავსახოთ არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზები. ჩვენ ვიცნობთ მოსკოველებს როგორც ყველაზე მკაცრ და მომთხოვნ შემფასებლებს. **(ტაში).**

შემდეგ ამხ. იბრაჰიმოვი ლაპარაკობს აზერბაიჯანის წარმატებებზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად დიდად განვითარებული ინდუსტრიითა და მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობით, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მდიდარი კულტურით. იგი ლაპარაკობს იმ უმაგალითო განვითარებასა და აყვავებაზე, რასაც მიაღწია აზერბაიჯანულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის მეოხებით რესპუბლიკაში გამოიზარდნენ ნიჭიერი მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები, რომლებმაც შექმნეს ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი.

აზერბაიჯანულმა ლიტერატურამ, რომელიც დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას, წამოაყენა მხატვრული სიტყვის ისეთი დიდი ოსტატები, როგორიც არიან ჯაფარ ჯაბარლი, მამედ საიდ ორდუბადი, სამედ ვურგუნი, სულეიმან რუსტამი, მამედ რაჰიმი, რასულ რზა, მირჯალალი, აბულჰასანი და სხვები. მათ ცოტა როდი შექმნეს ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც აზერბაიჯანის საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ.

ამხ. იბრაჰიმოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზერბაიჯანული ლიტერატურა და ხელოვნება საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობის საფუძველზე, დიდი რუსული ლიტერატურის ბაზაზე.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს აზერბაიჯანის პოეტებმა—სტალინური პრემიის ლაურეატებმა: სამედ ვურგუნმა, სულეიმან რუსტამმა და მამედ რაჰიმმა, აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რასულ რზამ, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების ოსტატებმა. (საკდესი).

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების სათანადო საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს:

თბილისი. ბერიას რაიონის მე-8 საარჩევნო უბანი (მახარაძის ქ. 8). უბნის აგიტპუნქტის ხელმძღვანელი ამხ. დ. გორგიძე (ცენტრში) ამომრჩევლებს ესაუბრება თემაზე: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში".

ფოტო რ. აკოფოვისა

სტალინის რაიონი

გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგე, **კონსტანტინე სოლომონის-ძე გოგიშვილი** — ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსი, **თამარ სო-** ... ლინიკის ექიმი, **გიორგი მიხეილის-ძე მუხაძე** — კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, **ნიკოლოზ გალაქტიონის-ძე ორჯონიკიძე** — სპილენძსატყეცი ქარხნის დირექტორი, **გიორგი ივანეს-ძე გავრილინი** — თბილისის ნახიმოვის სასწავ- ...

... **ნინო დავითის ასული პუხაევა** — კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელი ქარხნის გამკრიალებელი, **მიხეილ გიორგის-ძე კობახიძე** — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი, **თამარ ილიას ასული თავზარაშვილი** — მე-4 პოლიკ- ... **დრეს-ძე ლოლაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე, **თამარ ზოსიმეს ასული შანიძე** — ქალაქის მეორე საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი.

მოლოტოვის რაიონი

თამარ ივანეს ასული კილაძე — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის უფროსი კორექტორი, **ეკატერინე მიხეილის ასული ბერიძე** — ქალთა 23-ე სკოლის პედაგოგი, **ელენე სოლომონის ასული გეგიაძე** — ქალთა 25-ე საშუალო სკოლის დირექტორი, **ავქსენტი სამსონის-ძე შენგელია** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანი, **ირაკლი ტიმოთეს-ძე მენთეშაშვილი** — ფსიქიატრიული ინსტიტუტის განყოფილების გამგე, **არჩილ დიმიტრის-ძე გიორგაძე** — საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯ- ... **სილის ასული ყარყარაშვილი** — ქიმიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, **გიორგი კონსტანტინეს-ძე გედევანიშვილი** — ლითონისა და სამთო საქმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, **ლევ სერგის-ძე პეტროსიანი** — ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანი, **ანა ივანეს ასული გოცირიძე** — არტელ „მშრომელთა კავშირის" სტახანოველი, **ბარბარე ეგნატეს ასული მეგრელიძე** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის სტახანოველი, **ირაკლი ილიას-ძე ნიბლაძე** — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მი- ...

(გაგრძელება იქნება)

მხცოვანი პედაგოგი—ხალხის რჩეული

ზუგდიდელები დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით წარმოთქვამენ საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, ა. წერეთლის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის, მხცოვანი პედაგოგის მიხეილ პეტრეს-ძე პატარაიას სახელს. ეს გასაგებიცაა. პედაგოგიური მოღვაწეობის 59 წლის მანძილზე მის ხელში 6 ათასზე მეტ მოსწავლეს გაუვლია, რომელთაგან მრავალი დღეს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვა- ...

... იყო. ორი ათეული წლის წინ თეატრის შენობა ქალაქის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, საჭირო გახდა ახლის მშენებლობა. მიხეილ პატარაია აქაც აქტივობას იჩენდა, როგორც მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტის მქონე, უზრუნველყოფდა მშენებლობაში მასების შრომითს მონაწილეობას შაბათობების სახით. ეს მეორე თეატრი 12 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ზუგდიდს. ქალაქის ახლანდელი სახელმწიფო თეატრის კაპიტალური შენობა ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში, ...

... ათას ეგზემპლარს აღემატება.

მიხეილ პეტრეს-ძე პატარაიას მოღვაწეობას ფართო ასპარეზი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიეცა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე იგი ქალაქის თეატრის დაარსების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ...

... პუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია რაისაბჭოს არჩევნების პუშკინის № 52 საარჩევნო ოლქში. ეჭვი არაა, 17 დეკემბერს ამომრჩევლები მას ერთსულოვნად მისცემენ ხმას.

ვ. მესხია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მოწინავე მთიელი ქალები

ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ამავე კოლმეურნეობის წევრი, სტახანოველი მწველავი ნატალია სეთურიძე.

ყაზბეგში ყველა იცნობს მოწინავე მთიელ ქალს ნატალია სეთურიძეს. მისი სტახანოვური მუშაობის მეთოდი ცნობილია რაიონის გარეთაც. მის წარმატებებზე წერენ რესპუბლიკური და რაიონული გაზეთები.

რით გაითქვა სახელი როგორთმა კოლმეურნე ქალმა? რით დაიმსახურა მშრომელთა ნდობა და სიყვარული?

... უკვე გადააჭარბა სამწლიანი გეგმის უკანასკნელი წლის ნორმას.

როცა დეპუტატობის კანდიდატად ასახელებდნენ, ნატალიამ თანასოფლელებს პირობა მისცა უფრო გააუმჯობესოს მუშაობა და თითოეულ ძროხაზე მომავალ წელს 1.800 ლიტრი რძე მიიღოს.

— დაჩაგრული და ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო მთიელი ქალი რევოლუციამდე. ქალის გაჩენა მშობლებისათვის სასიხარულო არ იყო.

— მე რომ დავბადებულვარ, მშობლებს ჩემთვის მეწყინა დაურქმევიათ. ეს სახელი დღემდე შემრჩა, — გვიამბობს დუშეთის რაიონის სოფელ ხევ- ...

ა. თოფაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პარტიული ცხოვრება

ვიბრძოლოთ ტექნიკური პროგრესისათვის, გავადიდოთ პირველხარისხოვანი მარგანეცის დამზადება

მარგანეცის ქალაქის ბოლშევიკების მეხუთე კონფერენციამ მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. პ. პეტროშვილის საანგარიშო მოხსენება. მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომლებიც საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესე- ...

... ოთხ მილიონ მანეთზე მეტი გადახარჯა, ხოლო მეორემ — ორ მილიონ მანეთამდე. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მექანიზმებს სრული დატვირთვით ვერ ამუშავებენ, ხოლო ზოგჯერ ნაკლებად ზრუნავენ ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისებისათვის. მომხსენებელი აკრიტიკებს ტრესტის კაპიტალური მშენებლობისა და „ჭიათურმშენის" მუშაობას.

... დაბალი დონე და პროდუქციის თვითღირებულების ზრდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ლენინისა და ბერიას სახელობის მაღაროებზე. პირველმა წელს ...

... პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ა. მერცხულავა.

პ. ფირცხაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გარდამავალი დროშა და პრემია ხაშურის საელმავლო დეპოს

ხაშური. (საკ. კორ.). მესამე კვარტალის საწარმოო გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და 125 ათასი მანეთი პრემია მიეკუთვნა ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივს. ჯილდო და პრემია მეელმავლეებს დიდი ოქტომბრის 33-ე წლისთავთან დაკავშირებით გადასცა გზის უფროსმა ამხ. გ. კიკნაძემ.

მოპოვებული ჯილდოს პასუხად მეელმავლეებმა უფრო გააძლიერეს მუშაობა. დეპოს კოლექტივმა ოქტომბერში ელმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენის გეგმა შეასრულა 108,4 პროცენტით, ხოლო ტვირთზიდვისა — 113 პროცენტით. „ავადმყოფი" ელმავლების რიცხვი შეამცირეს 30 პროცენტით, დაზოგეს 336 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები და ელექტროენერგია, მიიღეს 452 ათასი მანეთი დაგროვება.

ოქტომბერში მოპოვებული წარმატებებისათვის დეპოს კოლექტივი კვლავ დააჯილდოვეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საკოლმეურნეო ქონების მფლანგველები დასჯილნი არიან

სოფელ გურგენიანის (ლაგოდეხის რაიონი) წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით აღმსრულებელმა პავლე ისიდორეს-ძე შუბითიძემ და კოლმეურნეობის საწყობის გამგემ ვალერიან სარდიონის-ძე სამხარაძემ ხელი მიჰყვეს საკოლმეურნეო ...

... მის-ძე თაბუკაშვილი. მისი საქმეც პროკურატურას გადაეცა.

* * *

ვანის რაიონის სოფელ მაისოურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან სოფლკორი გვწერდა: მეფრინველეობის საკოლმეურნეო ფერმიდან კოლმეურნეობის გამგეობის თავ- ...

გამოცდილების ტრიბუნა

30 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ

ხორბლის უხვი მოსავლის მრავალი შესანიშნავი ოსტატი ჰყავს ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობას. მოწინავე სტახანოველის—ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის ბრიგადამ 18,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 30,5 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. ამდენივე პური მოიყვანა გიგო ხუციშვილის ბრიგადამ 16,5 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე, მთლიანად კოლმეურნეობამ კი 40,5 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყო 30,2 ცენტნერი ხორბლის მიღება, ხოლო დანარჩენ ფართობზე მოსავალი მიიღო გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით.

მოპოვებული წარმატებებისათვის ბრიგადირ ნ. ნიკოლოზიშვილს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვასილ ცისკარიშვილს მინიჭებული აქვთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ბრიგადირი გ. ხუციშვილი და 15 სხვა კოლმეურნე კი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

კოლმეურნეობა ყოველწლიურად ადიდებს პურეულის მოსავლიანობას. გმირობის მაჩვენებლებს მევენახეობაშიც მიაღწიეს. ამის შედეგია, რომ ეს კოლმეურნეობა მოწინავეა რაიონში. აქ შრომადღეზე, გარდა სხვა პროდუქტებისა, ნაწილდება 6 კილოგრამი მარცვლეული და ფულიც მნიშვნელოვანი რაოდენობით. მაგალითად, ვ. ახალბედაშვილის ოჯახმა წლის მანძილზე გამომუშავებულ შრომადღეებზე, პრემიის ჩათვლით, მიიღო შვიდ ტონამდე მარცვლეული, ნახევარ ტონამდე ღვინო და 10.000 მანეთამდე ფულად. ასეთი ფაქტი აქ მრავალია.

კოლმეურნეები წლითი-წლობით მეტ ფართობზე თესავენ ხორბალს. შარშან დათესილი ჰქონდათ 556 ჰექტარი პური, ამჟამად კი 1.000-მდე ჰექტარი უთესიათ. კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ მომავალ, 1951 წელს კოლმეურნეობის მთელი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანენ 20-25 ცენტნერ ხორბალს, 1952 წელს კი —25-30 ცენტნერს.

მემინდვრეობის 10 ბრიგადიდან კვლავ მოწინავეა ნ. ნიკოლოზიშვილის ბრიგადა, თუმცა კარგი მუშაობით სხვებიც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ.

ბრიგადაში სულ 55 შრომისუნარიანი ქალი და კაცია, ესენი არიან გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე კოლმეურნეები.

შილდელებმა კარგად შეისწავლეს თავიანთი კოლმეურნეობის მიწები, უხვი მოსავლის მოსაყვანად ადრევე მიიღეს ზომები. ის ნაკვეთები, რომლებზეც სიმინდი, ლობიო და საზამთრო ეთესათ, ჯერ 5-6 სანტიმეტრის სიღრმეზე აოშეს. 15-20 დღის შემდეგ, როცა სარეველა მცენარეები ამოვიდა, ყოველ ჰექტარზე 15-20 ტონა ნაკელი შეიტანეს, გაანაწილეს მიწის ზედაპირზე და 22-25 სანტიმეტრ სიღრმეზე ჩახნეს.

კოლმეურნეები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივი ნიადაგის ყოველ ჰექტარზე თითო ტონა ნაკელის შეტანა დაახლოებით 0,3-0,5 ცენტნერით ზრდის მოსავლიანობას. ამიტომ ზოგან ჰექტარზე 25-30 ტონამდე ნაკელი შეიტანეს.

ხორბლისათვის გათვალისწინებულ ფართობზე მინერალური სასუქი მისი უქონლობის გამო არ შეუტანიათ. ახლა კი, გარდა ნაკელისა, იგი თვითეულ ჰექტარზე 400 კილოგრამი შეაქვთ. გაზაფხულზე დამატებითი საკვების სახით შესატანად კოლმეურნეები იმარაგებენ ნაკელს, ნაცარს და სხვ.

სარეველა მცენარეებთან და მავნებლებთან ბრძოლის, აგრეთვე გვიან ზაფხულისა და შემოდგომის ნალექების დაგროვებისათვის ბრიგადა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ანეულს.

კოლმეურნეობაში მეოთხე წელია, რაც მოწყობილია სპეციალური სათესლე ნაკვეთები, ჯერ 60 ჰექტარზე, ახლა კი—210 ჰექტარზე. 1948 წელს კოლმეურნეობამ საკუთარი ჯიშიანი თესლით არამარტო თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილა, არამედ 120 ტონა თესლი რაიონის სხვა კოლმეურნეობებსაც მისცა. ასევე დიდი რაოდენობით გასცეს თესლი შარშან და წელსაც.

კოლმეურნეობაში თესავენ უფხო ხორბალს, ეგრეთწოდებულ „ლაგოდეხის გრძელთავთავას", რომელიც ხასიათდება დიდი გამძლეობით ჟანგათი დაავადებისადმი, კარგად ეგუება მდინარე ალაზნისპირის ნიადაგებს, ჰავას და დიდი რაოდენობით იძლევა კარგი ხარისხის მარცვალს. სანიმუშო მოვლის შედეგად სათესლე ნაკვეთებზე მიღებული თესლი ძირითადად მსხვილი და მძიმეა. ასეთი თესლიდან აღმონაცენი უფრო ღონიერია, აქვს ნიადაგში უფრო ღრმად გადგმული ფესვები, არის სწრაფი ზრდისა და განვითარების უნარიანი.

კოლმეურნეები წინასწარი გამოანგარიშების საფუძველზე თვითეულ კვადრატულ მეტრზე თესავენ ნორმალურად განვითარებულ და კარგად შემოსულდამწიფებულ 600-700-მდე მსხვილ მარცვალს, ესე იგი ჰექტარზე 1,7—1,8 ცენტნერს (თუ გვალვაა, იმ შემთხვევაში მეტს თესავენ, თუ თესლი წვრილია — ნაკლებს). კოლმეურნეებმა დაკვირვებით იციან, რომ თვითეული მარცვალი ხორბალი, როცა მისი აღმონაცენი უზრუნველყოფილია ზომიერი სითბოთი, საკმაო ტენით და საკვებით, 3-4 და ხშირად 5-8-მდე ნაბარტყს ანუ ამონაყარს იძლევა. მაგრამ ყველა მარცვალი ვერ ამოდის, ზოგი კი ამოსვლის შემდეგ იღუპება. საბოლოოდ, თუ ყანა ნორმალურია, კვადრატულ მეტრზე 1.000—1.100 პროდუქტიული ღერო რჩება, ჩვეულებრივად კი უფრო ნაკლები. ამას შილდელი კოლმეურნეები კარგად ითვალისწინებენ და ამინდის ყოველგვარ პირობებში უხვი მოსავლის მისაღებად თვითეულ კვადრატულ მეტრზე 600-700 ანუ ჰექტარზე 5-7 მილიონამდე მარცვლის დათესვა კანონიერად მიაჩნიათ. ასევე სავალდებულოდ მიაჩნიათ თესვა თანაბარ მანძილსა და სიღრმეზე, რათა თვითეული ძირის ზრდა - განვითარებისათვის სინათლის, ჰაერისა და კვების მხრივ ნორმალური პირობები შექმნან, ყანა არ ჩაწვეს და კარგი მოსავალი მოგვცეს.

კოლმეურნეები სათესლედ გამოყოფილ მარცვალს წინასწარ წმენდენ, ახარისხებენ, აშორებენ ყოველგვარ მონაყოლს — გორველას, შვრიას, სვილის თესლს და სხვ. ამ მიზნით ყოველთვის წესრიგზე აქვთ და საჭიროების მიხედვით იყენებენ 3 სანიავებელ მანქანას, 6 ხრახნულ მარცვალ-საწმენდს და 8 ტრიერს. ამ საშუალებით სათესლე მასალად ყოველთვის იღებენ მსხვილ და ჯანსაღ, ჯიშობრივად წმინდა მარცვალს, რომლის სისუფთავე 99 პროცენტია, აღმოცენების უნარი კი 95-96 პროცენტი.

თესვის წინ კოლმეურნეები მიწას აოშავენ და ხორბალს თესავენ 24-მწკრივიანი ტრაქტორის და აგრეთვე ცხენის სათესით, რაც კარგ შედეგს იძლევა. თესვის სიღრმედ ჩვეულებრივად მიღებულია 4-5 სანტიმეტრი, გვალვიან პირობებში კი—5-7 სანტიმეტრი.

შილდელები პურის ჩაწოლის წინააღმდეგ, აგრეთვე ყანის თანაბრად განვითარებისათვის ფართობის ნაწილს ჯვარედინად თესავენ. წელს კოლმეურნეობაში ჯვარედინად 100 ჰექტარი დათესეს. თესვა ოქტომბერში მოხდა. ეს ნიშნავს იმას, რომ აღმონაცენმა ყინვის დაწყებამდე მოასწრო გამაგრება. სექტემბერში ხათესი კი, როგორც კოლმეურნეთა დაკვირვება მოწმობს, უმთავრესად სიცხისაგან იჩაგრება, ნოემბრის მეორე ნახევრისა — სარეველებისაგან, რადგან გვიან ამოდის და ბალახი ასწრებს განვითარებას.

შემოდგომაზე, როცა ჯეჯილი კარგად განვითარდება, ყანას ერთხელ გამარგლავენ და, თუ თაგვის სოროებიც შენიშნეს, მას შხამიანი სველი ნამჯით ქეტავენ. ყანას გაზაფხულზე ანუ ადრეულ თიბვამდე, ორჯერ მთელ ფართობზე მარგლავენ. ამ დროს, გარდა სარეველებისა, ხორბლის ყანას აშორებენ შვრიას, ქერის და სხვ. აღმონაცენს. ამასთანავე მეორედ აწყობენ თაგვებთან ბრძოლას.

გაზაფხულზე, როცა მიწა შეშრება და ქერქს გაიკეთებს, კოლმეურნეები ხიდსზე მწკრივების გარდიგარდმო რკინის ფარცხს ატარებენ. ამ სამუშაოს დაწყების წინ განუვითარებელ და სუსტ ჯეჯილში გადამწვარი ნაკელი შეაქვთ, შემდეგ კი ფარცხავენ. ამით ამცირებენ ნიადაგიდან წყლის აორთქლებას, აფერხებენ სარეველა მცენარეების განვითარებას, ხელს უწყობენ ჯეჯილის ზრდას.

ნ. ნიკოლოზიშვილის ბრიგადა მთელი წლის მანძილზე მუშაობს ორგანიზებულად, შეთანხმებულად, სამუშაოთა ვადებსა და ხარისხს მტკიცედ იცავს. კოლმეურნეებმა იციან, რომ საერთო წარმატების საფუძველია ბრიგადის სიმტკიცე, სიბეჯითე. მათ კარგად ჰყავთ ერთმანეთი შესწავლილი. ეს აადვილებს თვითეული კოლმეურნის გამოყენებას მისი უნარის მიხედვით.

ბრიგადის წევრთა შორის სამუშაოს უშუალოდ ბრიგადირი ანაწილებს. სამუშაოთა უმეტესი ნაწილი მექანიზებული წესით სრულდება. ისეთ სამუშაოებზე, როგორიცაა სასუქების შეტანა, თესლის გაწმენდა-მომზადება, ყანის მარგვლა და სხვ., გამოყენებულია ინდივიდუალური და წვრილ-ჯგუფური ნარდის სისტემა. თვითეულმა კოლმეურნემ წინასწარ იცის, როდის რა სამუშაო და როგორ შეასრულოს. კოლმეურნეებს სამუშაოთა შესრულებაში დიდად ეხმარება წინასწარ შედგენილი და საერთო კრებაზე დამტკიცებული გეგმა, აგრეთვე ასევე წინასწარ მიღებული და განხილული საბრიგადო დავალებანი.

კარგი მუშაობით ბრიგადის წევრებში განსაკუთრებით გამოირჩევიან ანდრია ნიკოლოზიშვილი, შაქრო სიორაშვილი, ივანე მარკოზაშვილი, მანია ასათიანი, დარიკო ნიკოლოზიშვილი.

შილდელთა გამოცდილება ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ფართოდ გავრცელების ღირსია.

ნ. ᲗᲝᲓᲠᲐᲫᲔ

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ნოემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს 29 ნოემბრის სხდომაზე სსრ კავშირის დელეგატმა ი. ა. მალიკმა წინადადება შეიტანა წაეკითხათ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენისაგან მიღებული დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 26 ნოემბრით. ეს დოკუმენტი შეიცავს კორეაში ამერიკელთა მხეცობის აღწერას და თხოვნას მიღებულ იქნას ღონისძიებანი ამ მხეცობის თავიდან ასაშორებლად. ამის წინააღმდეგ არავინ გამოსულა, და საბჭოში გამოქვეყნდა პაკ ხენ ენის წერილი.

ლაისინმანელთა ხროვის წარმომადგენელი მლიქვნელურად ცდილობდა გაემართლებინა [illegible]

[illegible] ლი იყო შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირმა შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას კორეის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, შეჩერებულ იქნას საომარი მოქმედება და კორეიდან გაყვანილ იქნან უცხოეთის ჯარები. მაგრამ შეერთებულმა შტატებმა და მათმა მომხრეებმა უარყვეს ეს რეზოლუცია და საბჭოს თავს მოახვიეს დღის წესრიგის ყბადაღებული პუნქტი: „საჩივარი კორეის რესპუბლიკის [illegible]

[illegible] ტაივანზე. მალიკმა თქვა, რომ საერთაშორისო სამართლის [illegible], რომ სახელმწიფო, რომელიც იყენებს სხვა სახელმწიფოს სანაპიროსა თუ ნავსადგურების სამხედრო-საზღვაო ბლოკადას, თავდამსხმელი მხარეა. მალიკმა მოიყვანა გრომიკოს 4 ივლისის განცხადება, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება, რომლებმაც დააწესეს ტაივანის სამხედრო-საზღვაო ბლოკადა, დაგმობილია როგორც აგრესიის აშკარა აქტი, რომელიც არღვევს არა მარტო კაიროს და პოტსდამის შეთანხმებებს, არამედ ტრუმენის ამა წლის დასაწყისის განცხადებასაც იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ ჩინეთის საქმეებში ჩარევას.

[illegible]

ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

(„ᲛᲐᲠᲘᲜᲔ"—ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ)

ჩვენმა თეატრებმა მთელი თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა დაუქვემდებარეს იდეოლოგიურ საკითხებზე პარტიის მითითებათა შესრულებას და გარკვეული მუშაობა გასწიეს იდეურად და მხატვრულად გამართული, საბჭოთა სინამდვილის ამსახველი რეპერტუარის შესაქმნელად.

თეატრებისა და დრამატურგების მჭიდრო შემოქმედებითმა კავშირმა, ახალი პიესების კოლექტიურმა კითხვაგანხილვამ, იდეური და მაღალმხატვრული სპექტაკლის შესაქმნელად დრამატურგებისა და თეატრების ერთობლივმა მუშაობამ დადებითი შედეგი მოიტანა. მიმდინარე სეზონი საქართველოს თეატრებმა წინა წლებზე უფრო ორგანიზებულად დაიწყეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თეატრების რეპერტუარის გამდიდრება თანამედ- [illegible]

[illegible] რებას, რომლებიც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდნენ დიდი სამამულო ომის დროს".

რით იქცევს მაყურებლის ყურადღებას მ. ბარათაშვილის კომედია „მარინე"? იმით, რომ ავტორი მიზნად ისახავს მაყურებელს უჩვენოს შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება, შრომის როლი ადამიანის სახის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნის მისაღწევად დრამატურგი მიმართავს საკოლმეურნეო სოფელს, რომელიც შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვის შედეგად მტკიცედ მიიწევს წინ, უთანაბრდება ქალაქს არა მარტო მშენებლობით, არამედ ადამიანთა ურთიერთობით, მათი გონებრივი განვითარებით, პოლიტიკური შეგნებით.

პიესაში „მარინე" გამოყვანილია მოწინავე [illegible]



სცენა სპექტაკლიდან „მარინე"

★ ★

[illegible]

[illegible] ბიც. რამდენადმე ხელოვნურია სპექტაკლის ფინალი. არ იყო საჭირო ყველა მთავარი გმირის დაქორწინება. ვინ დაუჯერებს ტრაქტორისტ კოხტას, რომელმაც შოთა კევლიშვილის გამოჩენისთანავე თავი მიანება „პრიჭინას", ხელი მოხვია სხვა ქალიშვილს და გვერდში ამოიყენა როგორც საცოლე.

უმართებულოა, რომ პიესის ავტორი „პრიჭინას" უკანასკნელ მოქმედებაში ათქმევინებს: „მარინე, ჯერ შრომა და მერე სწავლა ხომ?" განა სწავლა შრომა არ არის?

მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა მსახიობმა ვ. ნინუამ, რომელიც უნაკლოდ ანსახიერებს კოლმეურნე ბიჭიკოს სახასიათო როლს. დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან რესპუბლიკის სახალხო არტისტი ც. წუწუნავა (ეფროსინე) და თ. მაისურაძე (კალისტრო); აგრეთვე ნ. აფაქიძე (თინა), თ. ციხისელი (მაყვალა) და სხვები.

კარგია სპექტაკლის მხატვრობა (მხატვარი—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ელ. ახვლედიანი) და მუსიკა (კომპოზიტორი ა. კერესელიძე).

„მარინე", რომელშიაც დრამატურგმა მ. ბარათაშვილმა შეძლო დაეხატა ახალგაზრდა კოლმეურნე ქალების ცხოვრება, ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების შემდეგ უფრო საინტერესო სპექტაკლი იქნება საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე.

ბ. ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის ამერიკის დელეგაციის წევრთა ჯგუფის წერილი სსრ კავშირში ამერიკის ელჩის ა. კერკისადმი

ამერიკის დელეგაციის წევრი საზოგადო მოღვაწეების — მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მონაწილეების ჯგუფმა, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში იმყოფება, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს სსრ კავშირში ა. კერკს მიმართა შემდეგი წერილით, რომლის პირიც გაუგზავნა მოსკოვში უცხოეთის დეპეშათა და გაზეთების სააგენტოების წარმომადგენლებს, აგრეთვე საბჭოთა პრესის წარმომადგენლებს:

„სსრ კავშირი
მოსკოვი
ადმირალ ალან კერკს—ელჩს საბჭოთა კავშირში
1950 წლის 28 ნოემბერი.
ძვირფასო სერ,
28 ნოემბერს, სამშაბათს დილით, ამერიკის დელეგაციის ხუთი ხელმძღვანელი წევრი, რომლებიც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით ამჟამად რუსეთში იმყოფებიან, …

… ლება იმ ეროვნული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოხდება იმის შედეგად, რომ ჩვენს ქვეყანას უპირისპირებენ მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით საბჭოთა და ჩინელ ხალხებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჩვენი მოკავშირენი იყვნენ ფაშიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშვიდობის მომხრეთა ვარშავის კონგრესი თავისთავად მეტყველებს. ჩვენ მოხარული ვართ, რომ მონაწილეობა მივიღეთ ამ კონგრესში. და ახლა მტკიცედ გვწამს, რომ მისმა „მანიფესტმა და მიმართვამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი" წინ წასწია მშვიდობის საქმე. კონგრესი მიმართული იყო არა გაერთიანებული ერების წინააღმდეგ, არამედ ამ მნიშვნელოვანი მსოფლიო ორგანოს არასწორი გამოყენებისა და დამახინჯების წინააღმდეგ.

მართლაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ამ მიმართვაში განსაკუთრებით ხაზგასმულია: „თუ გაერთიანებული ერების …

… ვი მშვიდობის უზრუნველყოფის გზა. ეს ჩვენი უმაღლესი მოვალეობაა. ეს ერთადერთი საშუა- …

… მარტების მიმღებლობას,
დავმთებით პატივისცემით:

დოქტორი ჯონ კინგსბერი ვუდსტოკი, ნიუ-იორკი
დოქტორი უილარდ უპჰაუსი. ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტი
წმინდა რობერტ მიური. ბოსტონი, მასაჩუზეტსი
ლორა ლიკი. ვორჩესტერი, მასაჩუზეტსი
დოროტი ბუშნელ კოული. ჩიკაგო, ილინოისი".

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კანდიდატების გამარჯვება საქარხნო კომიტეტების არჩევნებში

რომი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ტურინის უდიდეს სამრეწველო საწარმოებში მომხდარი შინაგანი (პროფკავშირული) კომიტეტების ხელახალი არჩევნები აღნიშნა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და მუშათა კლასის ერთიანობის ძისი პოლიტიკის სრული გამარჯვებით. განსაკუთრებით საგულისხმოა „ფიატის" კონცერნის ტურინის ქარხნებში მოწყობილი არჩევნების შედეგები, სადაც ამ უკანასკნელ ხანს აქტიური მუშაობა გააჩაღეს სოციალ-რეფორმისტებმა, კათოლიკეებმა და მუშათა ერთიანობის სხვა მტრებმა, რომლებიც ცდილობდნენ მოეწყვიტათ ამ კონცერნის მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი პროფკავშირებისათვის.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებსაც გაზეთი „უნიტა" ბეჭდავს, ტურინის „ფიატის" ქარხნებში, სადაც უკვე დამთავრდა ხმების დათვლა, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კანდიდატებმა მიიღეს 34 ადგილი საწარმოთა შინაგან კომიტეტებში, მაშინ როცა გამთიშველი „მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციისა" და სოციალ-რეფორმისტული „იტალიის შრომის კავშირის" კანდიდატებმა მიიღეს სულ 16 ადგილი.

ტურინის სხვა საწარმოებში იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კანდიდატებმა მიიღეს აგრეთვე ხმების დიდი უმეტესობა. ზოგიერთ ქარხანაში გამთიშველ პროფკავშირთა კანდიდატებს არც ერთი ადგილი არ მიუღიათ ახალ შინაგან კომიტეტებში.

ბევინის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 29 ნოემბერი. (საკდესი). როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, დღეს თემთა პალატაში დაიწყო კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, რაც ორ დღეს გასტანს. კამათის გახსნისას ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა მოუწოდა კამათის მონაწილეებს „განსაკუთრებული სიფრთხილე …

შეეხო რა ინგლისის მიერ ჩინეთის სახალხო მთავრობის ცნობას, ბევინმა აღნიშნა: „ჩვენ სწორად მიგვაჩნდა გვეცნო საქმის რეალური ვითარება..." მან „სინანული" გამოთქვა, რომ „ვერ მოხერხდა სრული დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და ამდენად ჩვენმა …

… შემდეგ ფარისევლურად განაცხადა, … თვის თითქოს ცნობილი არ არის „ჩინელთა მოტივები და განზრახვა" და „რისთვის შევიდნენ ისინი კორეაში".

ბევინის აზრით, საბოლოო ანგარიშით საჭიროა „გადაწყვეტილება ვეძებოთ პოლიტიკის დარგში".

ბევინმა თქვა, რომ შეერთებული შტატები, საფრანგეთი და ინგლისი სამმხრივ თათბირს გამართავენ პარიზში შემდეგ კვირაში, რათა შეიმუშაონ დაწვრილებითი პასუხი საბჭოთა ნოტაზე, რომელიც წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას დიდი ოთხეულის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი.

მშვიდობის დაცვის ლონდონის საბჭოს აღმასკომის რეზოლუცია

ლონდონი, 29 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის დაცვის ლონდონის საბჭოს აღმასკომმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ინგლისის მთავრობას „ისარგებლოს ლეიკ-საქსესში ჩინეთის დელეგაციის ყოფნით იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას კორეაში შეთანხმებული მშვიდობიანი მოწესრიგება კონფლიქტისა, რომელიც შეიძლება გავრცელდეს შორეული აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში".

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია: „საბჭო ფიქრობს, რომ მოლაპარაკება კორეის კონფლიქ- …

… ალიკვიდაცია შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტითა და უცხოეთის ყველა ჯარის გაყვანით საომარი მოქმედების რაიონიდან. ეს მოლაპარაკება უნდა მოეწყოს ჩინეთის სახალხო მთავრობის სრული და სრულუფლებიანი თანამშრომლობით.

აღნიშნულის გამო, მშვიდობის დაცვის ლონდონის საბჭო მოუწოდებს ყველა ლონდონელს და საყოველთაო მშვიდობის დაცვით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციას დაუყოვნებლივ მიმართონ პარლამენტის თავიანთ წევრებს და მოსთხოვონ, რომ მათ გამოთქვან პარლამენტში ეს …

ლეიბორისტული პარტიიდან გარიცხვა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესში მონაწილეობის მიღებისათვის

ლონდონი, 30 ნოემბერი. (საკდესი). …

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 30 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ჯარები აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ.

ანჯუს (ანსიუ) და ტოკუსენის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში სახალხო არმიის ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში და უკუაგდეს იგი 20-30 კილომეტრით.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ბრძოლები გრძელდება წინანდელ რაიონებში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

შანხაი, 30 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა. სხდომაზე გამოსულმა ვიეტნამის სახალხო არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ვო ნგუენ ზიაპმა გააკეთა მიმდინარე წლის ოქტომბრის განმავლობაში წარმოებული საომარი მოქმედების მიმოხილვა. მან განაცხადა, რომ, ასრულებდნენ რა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის ბრძანებას ჩრდილოეთ ვიეტნამის ჩრდილოეთი საზღვრისპირა რაიონები. ამის შედეგად შეიქმნა საფრთხე მოწინააღმდეგის პოზიციებისათვის წითელი მდინარის დელტის რაიონებში.

ვო ნგუენ ზიაპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გამარჯვებანი მოპოვებულია ვიეტნამელი ხალხის თავდადების, სახალხო არმიის ნაწილებისა და ცალკეული მებრძოლებისა და ოფიცრების გმირობის, სახალხო მთავრობისა და სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით. …

ბულგარეთის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

სოფია, 29 ნოემბერი. (საკდესი). …

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა ეროვნული კრების სხდომა, რომელზეც აღიძრა საკითხი რენე პლევენის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა პლევენმა წარმოთქვა სიტყვა და მოითხოვა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება.

ბრძოლა ჯიქთან

ზნაური. (საკ. კორ.). სოფელ წნელისის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" ბრიგადის ხელმძღვანელი სამსონ თაბოევი მეზობელ სოფელში — გვირგვინაში მიდიოდა განთიადისას. სასოფლო გზაზე ჯერ კიდევ დილის ბინდი იწვა. თაბოევმა შეამჩნია გზისპირს ბუჩქებში ჩაწოლილი ცხოველი, რომელიც თითქოს ვერ გრძნობდა ადამიანის მიახლოებას.

ჩასაფრებულმა ნადირმა ელვის სისწრაფით გააკეთა ნახტომი და ეკვეთა მგზავრს. თაბოევი არ დაბნეულა. იგი ყელში სწვდა მხეცს. ნადირმა გააფთრებით გაიბრძოლა. აშკარა იყო, ძალის დიდი უპირატესობა ნადირს ჰქონდა. ბრიგადირმა ხერხს მიმართა: მიწაზე დავარდნილ თავის საზამთრო ქუდს დასწვდა და დაღებულ ხახაში ჩასჩარა ჯიქს. ნადირს სული ეხუთებოდა, მაგრამ მაინც შეუპოვრად განაგრძობდა ბრძოლას.

ჯიქმა სხეულზე და სახეზე 60 ჭრილობა მიაყენა თაბოევს, მაგრამ თვითონაც მოიქანცა. თაბოევმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მხეცს კლდის ნაპირისაკენ უბიძგა. ჯიქი გადაიჩეხა ხევში და პატარა მდინარეში ჩავარდა.

ძალაგამოლეული თაბოევი სოფელ გვირგვინასაკენ გაემართა. იქ მას დახმარება აღმოუჩინეს და ურმით წნელისში წაიყვანეს.

გადახდილი ბრძოლის ადგილს რომ მიუახლოვდნენ, ნახეს, რომ ჯიქი მდინარიდან გამოსულიყო და გზის ნაპირზე იწვა დაუძლურებული. ახლა სოფელ გვირგვინას კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ ქუმსიევი მიუახლოვდა ნადირს და მთელი ძალით მოქნეული ქვა დაარტყა. ნადირი ფეხზე აიმართა და ეკვეთა ქუმსიევს. მაგრამ არსენს მამამისი ვარდენი წამოეშველა, და მცირე ბრძოლის შემდეგ ჯიქი მოკლეს ქვითა და ხელკეტებით.

ასე დამთავრდა ბრძოლა მტაცებელთან.

* * *

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის ზოოპარკის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში დოცენტ არ. ჯანაშვილს, რომელმაც გვაცნობა: უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის მიდამოებში ჯიქი არავის უნახავს. ჯიქები ცხოვრობენ აღმოსავლეთ აფხაზეთის კავკასიონის და ლაგოდეხის უდაბურ ტყეებში.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯიქი გადმოხვეწილა ან აღმოსავლეთ აფხაზეთის კავკასიონის ან ლაგოდეხის ულრანი ტყეებიდან. ეს ფაქტი მეცნიერულ ინტერესს იწვევს.

სურათზე: მოკლული ჯიქი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორიუმში

დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორიუმი აწყობს მოხსენებას შემდეგ თემებზე: 2-XII—„ვეფხისტყაოსნის" ავტორები (მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი შ. ნუცუბიძე); 4-XII—სტალინური კონსტიტუცია და საბჭოთა საარჩევნო სისტემა (მომხსენებელი იურიდიული მეცნიერების კანდიდატი ვ. ფარქოსაძე); 9-XII—ნახტომები და თანდათანობა განვითარებაში (მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი პ. შარია); 14-XII—საბჭოთა კავშირის ბუნებრივი სიმდიდრენი სოციალისტური მეურნეობის სამსახურში (მომხსენებელი დოცენტი ე. ბურჯანაძე); 19-XII—ტატიშჩევი და მისი გეოგრაფიული შრომები — გარდაცვალების 200 წლისთავი (მომხსენებელი პროფესორი გ. გეხტმანი); 23-XII—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და მისი განვითარების გზა (მომხსენებელი უფროსი მასწავლებელი ზ. სიმონიშვილი); 26-XII—ი. ბ. სტალინი კომუნისტური მორალის შესახებ (მომხსენებელი დოცენტი შ. ბიწაძე).

ჭადრაკი

მე-19 საკავშირო პირველობის მეოთხედფინალი

მეექვსე ტურში ი. სახაროვმა დებიუტიდანვე მიიღო უპირატესობა ნ. ტერ-პოღოსოვთან და მეფის ფრთაზე იერიშით აიძულა იგი დანებებულიყო. ა. მაკაროვმა მოუგო მ. პასმანს, ბ. რატნერმა ვ. ქარსელაძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თბილისელ ა. ბუსლაევს ძლიერი ცენტრალური პაიკი და მოგების დიდი შანსები აქვს ლ. შჩერბაკოვთან. ს. მოლჩადსკი (მოსკოვი) — ე. სარდაროვის პარტია გადაიდო პირველისათვის უარეს მდგომარეობაში. ი. კნიშენკოს ორ პაიკში აქვს ფიგურა მ. შიშოვის წინააღმდეგ. თანაბარ პოზიციაშია გადადებული ა. კოფმან-მ. ურუიმაგოვის პარტია.

2 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ზესიკის ქ. № 4) შედგება ქ. თბილისის ბერიას რაიონის VI პარტიული კონფერენცია.

2 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქფილარმონიის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 123) შედგება ქ. თბილისის სტალინის რაიონის XXI პარტიული კონფერენცია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

2 დეკემბერს

6.45—სიმღერები და მარშები. 8.30—სიმღერები მოსკოვზე. 10.30—„პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება. 12.15—გადაცემა მოსწავლეთათვის: „მღერის რობსონი". 13.20—ქართული ხალხური სიმღერები. 13.50—ლიტერატურული გადაცემა, გ. მდივნის პიესა „კეთილი ნების ადამიანების" რადიოინსცენირება. 17.15—კონცერტი სომხეთის სსრ სახალხო არტისტის პ. ლისიციანის შესრულებით. 18.00—გადაცემა მოსწავლეთათვის: კონცერტი გამოცანა. 19.20—ქართული პოპულარული მუსიკის კონცერტი. 19.00—გადაცემა ახალგაზრდობისათვის, ნარკვევი: „საზღვრელი ახალგაზრდობა დე- … რადიომსმენელთა თხოვნით. 20.30—რადიოსადგურებით: გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის. ქალაქის ქსელით: კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ნაკაშიძის შესრულებით. 20.45—დუნაევსკისა და ლეპინის ნაწარმოებები. 22.00—ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა: მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლის „ხარატაანთ ქერას" რადიომონტაჟი. 23.00—კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ე. გოსტენინას და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის გ. ქავთარაძის შესრულებით.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „ევგენი ონეგინი" (მე-6 აბ. პ. ლისიციანის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „ნაპერწკლიდან"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ურიელ აკოსტა"; **გრიბოედოვის სახელობის** — „აზნაურთა ბუდე" (24-ე აბ.); **მუსიკალური კომედიის**—„მეგობრები" (კონსერვატორიის დიდ დარბაზში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ჩვენი ადამიანები" (44-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „პოლკის შვილი" (დილის 10 საათზე და დღის 2 საათზე); **ხანკულტურის**—„გრძნობათა ჭიდილი"; **სახელმწიფო ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

…

სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტრო
„სოიუზპეჩატი"
გაიხსნა ხელმოწერის მიღება ჟურნალ-გაზეთებზე 1951 წლისათვის
ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" განყოფილებებში, ფოსტაში და აგრეთვე ხელმოწერის საზოგადოებრივ რწმუნებულებთან, ფაბრიკებში და ქარხნებში, სასწავლებლებში და დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში.

ა. ასათიანი, ა. ასათიანი-შულგინა და ე. ასათიანი იუწყებიან **ნინო სარდიონის ასულ გამყრელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-XII, 7 ს. გამოსვენება 3-XII, 2 ს. გურამიშვილის, 8.

… ნაიშვილი, გიორგი და გედევან ბოლქვაძეები, ქ. ჩოგოვაძე, ე. არუთინოვი იუწყებიან ვალერიან გამყრელიძის დედის **ნინოს** გარდაცვალებას.

შ. ხუნდაძე, გ. ფანიაშვილი, ნ. ჩიხლაძე, გ. კანკავა, თ. ვამაკიძე, ა. ჩიქოვანი, მ. აბდალაძე, ა. ქავთარაძე, ლ. ჯგირნაია, ვ. კორკოტაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვალერიან გამყრელიძეს მისი დედის **ნინო გამყრელიძის** გარდაცვალების გამო.

არეთა ჩხეიძე შვილებით: ქეთო, ბექან, მალალოთი, შვილიშვილებით: თენგიზ, რუსუდან, თინათინით, რძლით ი. ფალიაშვილით, სიძით გ. ტაბატაძით იუწყება მამიდის **მათიკო ლევანის ასულ აბაშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-XII, 8 ს. გამოსვენება 3-XII, 2 ს. პეტრიაშვილის შეს. 3.

შვილები ვახტანგ, ლევან, ნიკოლოზ, არჩილ, თამარ, სოფიო, ნინო, რძლები თამარ, მარო, თამარ, ლენა შვილებით იუწყებიან **ვარვარა გოდერძიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-XII, 7 ს. გამოსვენება 3-XII, 4 ს. ნოვოროსიის, 10.

ვ. კიკაჩეიშვილი, ა. მაჩაიძე, ვ. დუმბაძე, ვ. ნადაშვილი, ე. ჰირაქაძე, ო. ხანანაშვილი, მ. დემეტრაშვილი, ს. ცაგარეიშვილი, ე. გრძელიშვილი, გ. სილაგავა, ვ. ფარჯანაძე, ნ. ადამ- …